N 1162-41
07/07/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ არჩილ გოგსაძეს

განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის

ნინო მშვილდაძის

მოხსენებითი ბარათი

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 30 აპრილს, ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი იყო, „2019-2020 სასწავლო წლის ბაღდათის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი, რეგიონული გასვლითი ინტელექტუალური კონკურსი. ღონისძიების განსახორციელებლად გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ეტალონი-მედიასა“ და ბაღდათის მუნიციპალიტეტს შორის, რომლის ღირებულებაც შეადგენდა - 2960 ლარს. თანხა გათვალისწინებული გახლდათ ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

ვინაიდან, ვირუსული პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, ქვეყანაში დღემდე აკრძალულია ყველა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიების გამართვა, „2019-2020 სასწავლო წლის ბაღდათის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი არ შედგა.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, გაითვალისწინოს შექმნილი სიტაუაცია და განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

პატივისცემით,

ნინო მშვილდაძე

ნ. მშვ

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი